



დასკვნა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე
(გადამუშავებული ვარიანტი)

2019 წელი

შინაარსი

დასკვნა.....	4
1. ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა	7
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი	8
3. შემოსულობები.....	9
3.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები.....	10
3.2 არაფინანსური აქტივების კლება.....	14
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები.....	15
5. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია.....	18
6. ასიგნებები	19
7. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხი.....	21
8. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი.....	22

დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე (გადამუშავებული ვარიანტი)

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებულ იქნა დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზების შესახებ;
- მიმდინარე წლის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებლობა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტთან დაკავშირებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებელია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალების სამართლიან წარდგენაზე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-100 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის, იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომელსაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარიმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და საფუძვლიანი და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ წარმოადგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი და ინფორმაცია რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტზე და 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების თაობაზე.

ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის ანალიზით, მთავრობამ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი, კერძოდ:

- 2020 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის გამოყენებასთან დაკავშირებით ნაწილობრივ გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია და ნაშთის გამოყენება 22,000.0 ათასი ლარიდან გაიზარდა 28,000.0 ათას ლარამდე, რაც ბიუჯეტის პირვანდელ ვარიანტთან შედარებით 6,000.0 ათასი ლარით მეტია;
- სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა, ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით, გაზრდილია 1,055.3 ათასი ლარით და განსაზღვრულია 11,250.0 ათასი ლარით.

წარმოდგენილი კანონპროექტით, პირველად ვარიანტთან შედარებით, ჯამში 7,055.3 ათასი ლარით იზრდება გადასახდელები, რაც შესაძლებელი გახდა ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით თავისუფალი ნაშთის 6,000.0 ათასი ლარით შემცირებისა და სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობის 1,055.3 ათასი ლარით გაზრდის შედეგად. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კვლავ აქტუალურია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რიგი რეკომენდაციების შეუსრულებლობა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, საბიუჯეტო პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით, გათვალისწინებულ იქნეს:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, დეკემბრის დარჩენილ პერიოდში ბიუჯეტის ასათვისებლად თუ არ განხორციელდა საავანსო ანგარიშსწორებები, 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების ათვისების მაჩვენებლების და 2018 წლის მეოთხე კვარტალში მიღებული შედეგების გათვალისწინებით, გადასახდელების შეუსრულებლობა, სავარაუდოდ, 30,000.0 ათასი ლარი იქნება. ბიუჯეტის შემოსულობების მოსალოდნელი 10,000.0 ათასი ლარით გადაჭარბებით შესრულებისა და მიმდინარე წლის გადასახდელების, სავარაუდოდ, 30,000.0 ათასი ლარით აუთვისებლობის გამო, გამოუყენებელი სახსრები (ნაშთი) 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიაღწევს 40,000.0 ათას ლარს. ამ პირობებში წარმოდგენილი კანონპროექტით დაგეგმილია ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის მხოლოდ 28,000.0 ათასი ლარით შემცირება, შესაბამისად, 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით არ იგეგმება, არანაკლებ, 12,000.0 ათასი ლარის საბიუჯეტო რესურსის გამოყენება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო რესურსის სრული და ეფექტიანი გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას და დაფინანსებას;


- რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველად ვარიანტთან მიმართებით, გათვალისწინებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლების“, „შემოსავლის მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვ.) გადაცემიდან“ და „შემოსავლების მომსახურების გაწევიდან“ საპროგნოზო მაჩვენებლების ნაწილში და მათი ჯამური მოცულობა, ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტთან შედარებით, გაზრდილია 1,055.3 ათასი ლარით. ამასთანავე, „სხვა შემოსავლების“ სხვა კომპონენტებში რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, „სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრის დროს, თითოეული კომპონენტის სახით მისაღები შემოსავლების ცვლილება სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული. დივიდენდების მოცულობის ზრდისთვის, მაკონტროლებელმა სამინისტროებმა, საზედამხედველო ფუნქციის ეფექტიანი გამოყენებით, უნდა უზრუნველყონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ საწარმოებში უკეთესი მენეჯმენტის განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს ხედვა არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით;
- პროგრამული ბიუჯეტი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ბიუჯეტის კანონის ნაწილს, რის გამოც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციად რჩება – პროგრამული ბიუჯეტი გახდეს კანონის ნაწილი, ხოლო პროგრამები/ქვეპროგრამები იმგვარად იქნეს წარმოდგენილი, რომ ის მოიცავდეს პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში განსახორციელებელ დეტალურ ღონისძიებებს, ხოლო ინდიკატორებით შესაძლებელი იყოს მიღწეული შედეგების გაზომვა და პროგრამის ეფექტიანობის შეფასება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, გარდა დასკვნაში წარმოდგენილი შენიშვნებისა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი სათანადოდ არის მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე, შესაძლებელია შეფასდეს საფუძვლიანად და კანონიერად მოქმედი ნორმატიული ბაზის გათვალისწინებით.

1. ბიუჯეტის ზოგადი მიმოხილვა

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით გადამუშავებული ვარიანტით შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 322,094.3 ათას ლარს, ხოლო გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა – 350,094.3 ათას ლარს. შესაბამისად, კანონპროექტით დაგეგმილია ნაშთის 28,000.0 ათასი ლარით შემცირება. 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მონაცემებით, მოსალოდნელია 2019 წლის შემოსულობების გეგმის 10,000.0 ათასი ლარის გადაჭარბებით შესრულება, რითაც პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ 2019 წლის გადასახდელების გეგმა, მინიმუმ, 18,000.0 ათასი ლარით ვერ შესრულდება, თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, შეუსრულებლობა 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების ათვისების მაჩვენებლების და 2018 წლის მეოთხე კვარტალში მიღებული შედეგების გათვალისწინებით, გაცილებით მაღალი, სავარაუდოდ, 30,000.0 ათასი ლარი იქნება.

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 2019 წლის ბიუჯეტთან მიმართებით იცვლება როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების პარამეტრები:



2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, 2019 წელთან შედარებით, 32,248.3 ათასი ლარით იზრდება შემოსულობები, ხოლო 7,890.9 ათასი ლარით – გადასახდელები. შემოსულობების ზრდა ძირითადად განპირობებულია „გადასახდელების“ (29,000.0 ათასი ლარით, 11.1%-ით) და „არაფინანსური აქტივების კლების“ (1,994.3 ათასი ლარით, 10.6%-ით) მუხლების გეგმური მაჩვენებლების ზრდით, ხოლო გადასახდელებში იზრდება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი (9,442.5 ათასი ლარით, 10.4%-ით) და „ვალდებულებების კლების“ მუხლი (322.7 ათასი ლარით, 15.1%-ით), ხოლო „ხარჯების“ მუხლი მცირდება 1,874.3 ათასი ლარით, 0.8%-ით.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისად, 2020 წლის შემოსავლები 301,250.0 ათასი ლარით, ხარჯები 247,749.6 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება კი 79,038.6 ათასი ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 2020 წლისთვის 53,500.4 ათას ლარს, ხოლო მთლიანი სალდო -25,538.2 ათას ლარს შეადგენს.

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	ზრდა/კლება 2019-2020 წწ.	ზრდა/კლება 2019-2020 წწ. (%)
შემოსავლები	270,996.0	301,250.0	30,254.0	11.2%
ხარჯები	249,623.9	247,749.6	-1,874.3	-0.8%
საოპერაციო სალდო	21,372.1	53,500.4	32,128.3	150.3%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	71,590.4	79,038.6	7,448.2	10.4%
მთლიანი სალდო	-50,218.3	-25,538.2	24,680.1	-49.1%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-52,357.4	-28,000.0	24,357.4	-46.5%
ვალდებულებების ცვლილება	-2,139.1	-2,461.8	-322.7	15.1%
ბალანსი	0	0		
2019 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი				52,586.1
ნაშთი 2019 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით				68,967.4

ისევე როგორც 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველადი ვარიანტის შემთხვევაში, საბიუჯეტო რესურსის არასრული გამოყენება წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის ერთ-ერთი ძირითადი ხარვეზია. 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსულობების შესრულების 11 თვის მაჩვენებლების და 2018 წლის მეოთხე კვარტალში მიღებული შედეგების გათვალისწინებით, მოსალოდნელია შემოსულობების გეგმის 10,000.0 ათასი ლარით გადაჭარბებით შესრულება. ამ პირობებში, 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით დაგეგმილია ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის 28,000.0 ათასი ლარით შემცირება. აღნიშნულით, კანონმდებლის

მხრიდან, პრაქტიკულად დასტურდება, რომ 2019 წლის გადასახდელების გეგმა, მინიმუმ, 18,000.0 ათასი ლარით ვერ შესრულდება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, დეკემბრის დარჩენილ პერიოდში ბიუჯეტის ასათვისებლად თუ არ განხორციელდა საავანსო ანგარიშსწორებები, 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელების ათვისების მაჩვენებლების და 2018 წლის მეოთხე კვარტალში მიღებული შედეგების გათვალისწინებით, შესრულებლობა გაცილებით მაღალი, სავარაუდოდ, 30,000.0 ათასი ლარი¹ იქნება. შემოსულობების მოსალოდნელი 10,000.0 ათასი ლარით გადაჭარბებით შესრულებისა და მიმდინარე წლის გადასახდელების, სავარაუდოდ, 30,000.0 ათასი ლარით ათვისებლობის გამო, გამოუყენებელი სახსრები (ნაშთი) 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიაღწევს 40,000.0 ათას ლარს. ამ პირობებში, 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტში, საბიუჯეტო ნაშთის შემცირება მხოლოდ 28,000.0 ათასი ლარით არის დაგეგმილი, რაც 12,000.0 ათასი ლარით ნაკლებია მოსალოდნელ გამოუყენებელ ნაშთზე. შესაბამისად, 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით არ გამოიყენება დაახლოებით 12,000.0 ათასი ლარის საბიუჯეტო რესურსი. აქვე აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხარვეზით იყო წარმოდგენილი მიმდინარე და წინა წლების ბიუჯეტის პროექტები, რის გამოც გამოუყენებელი დარჩა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო რესურსის სრული და ეფექტიანი გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას და დაფინანსებას.

3. შემოსულობები

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით წარმოდგენილი შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 322,094.3 ათას ლარს, რაც 2019 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ წლიურ მაჩვენებელს 11.1%-ით, 32,248.3 ათასი ლარით აღემატება. შემოსულობების სტრუქტურაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც შემოსავლების კომპონენტები, რომელიც 30,254.0 ათასი ლარით, ანუ 11.2%-ით იზრდება, ასევე არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტი, რომელიც 1,994.3 ათასი ლარით, ანუ 10.6%-ით იზრდება. რაც შეეხება ფინანსური აქტივების კლებას (ნაშთის გამოკლებით) და ვალდებულების ზრდას ისევე, როგორც 2019 წელს,

¹ ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების 11 თვის მონაცემების გაანალიზებისა და მხარჯავი დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ბიუჯეტის გადასახდელების წლიური შესრულება 90-92% იქნება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების მონაცემები.

შემოსულობების აღნიშნულ კომპონენტებში, 2020 წელს საპროგნოზო მაჩვენებლები განსაზღვრული არ არის, რადგან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შესაბამისი ფინანსური აქტივები, გარდა ნაშთისა, არ გააჩნია. ასევე არ იგეგმება ახალი სესხების აღება და სხვა სახის ვალდებულების ზრდა.

ცხრილი 2. შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

შემოსულობები	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2019-2020 წწ. ზრდა/კლება	2019-2020 წწ. ზრდა/კლება (%)
შემოსავლები	261,027.1	270,996.0	301,250.0	30,254.0	11.2%
არაფინანსური აქტივების კლება	27,814.3	18,850.0	20,844.3	1,994.3	10.6%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-
სულ შემოსულობები:	288,841.5	289,846.0	322,094.3	32,248.3	11.1%

3.1 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით „შემოსავლების“ მუხლის გეგმური მაჩვენებელი 301,250.0 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც 30,254.0 ათასი ლარით, ანუ 11.2%-ით აღემატება 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრულ მაჩვენებელს. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების ზრდა ძირითადად გადასახადების გაზრდილი მაჩვენებლებით არის გამოწვეული.

ცხრილი 3. შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

შემოსავლები	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2019-2020 წწ. ზრდა/კლება	2019-2020 წწ. ზრდა/კლება (%)
გადასახადები	245,804.2	261,000.0	290,000.0	29,000.0	11.1%
გრანტები	-	-	-	-	-
სხვა შემოსავლები	15,222.9	9,996.0	11,250.0	1,254.0	12.5%
სულ შემოსავლები	261,027.1	270,996.0	301,250.0	30,254.0	11.2%

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყარო საშემოსავლო გადასახადია, რომლის საპროგნოზო მაჩვენებელი, 2020 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით – 290,000.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 29,000.0 ათასი ლარით, ანუ 11.1%-ით აღემატება 2019 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს. 2019 წლის ბიუჯეტის კანონისგან განსხვავებით, 2020 წლის ბიუჯეტის კანონპროექტში გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

მოსაზრება, რომლის თანახმად, საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო პარამეტრის გაანგარიშება უნდა განხორციელდეს გასული და მიმდინარე წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებლების საფუძველზე და მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გათვალისწინებით. გამომდინარე იქიდან, რომ 2019 წლის საშემოსავლო გადასახადის საკასო შესრულება 275,000.0 ათასი ლარის ფარგლებში იქნება, ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური ზრდის 5%-იანი საპროგნოზო მაჩვენებლის² გათვალისწინებით, 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტში საშემოსავლო გადასახადის გეგმური მაჩვენებლის 290,000.0 ათასი ლარის ნიშნულზე განსაზღვრა რეალისტური და შესრულებადია.

სხვა შემოსავლები

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით „სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მოცულობა 11,250.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 1,254.0 ათასი ლარით მეტია 2019 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა შემოსავლებმა შეადგინა 13,500.5 ათასი ლარი, რაც 2,250.5 ათასი ლარით აღემატება 2020 წლის წლიურ გეგმურ მაჩვენებელს. მიმდინარე წელს „დივიდენდების“ სახით მისაღები „სხვა შემოსავლების“ მოცულობიდან გამომდინარე, 2019 წლის გეგმის შესრულება, სავარაუდოდ, მიაღწევს 15,000.0 ათას ლარს (150,1%-ს), რაც 2020 წლის საპროგნოზო მაჩვენებელზე 5,004.0 ათასი ლარით მეტია. ისევე როგორც 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემთხვევაში, 2020 წლის ბიუჯეტშიც „სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია საფუძვლიანი ანალიზის გარეშე, პესიმისტურად, გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მონაცემების გათვალისწინებლად, რაზეც აღინიშნა ბიუჯეტის პირველადი პროექტის დასკვნაშიც, თუმცა რეკომენდაცია ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული.

ბიუჯეტის პირველად ვარიანტთან მიმართებით, გათვალისწინებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლების“, „შემოსავლის მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვ.) გადაცემიდან“ და „შემოსავლების მომსახურების გაწევიდან“ საპროგნოზო მაჩვენებლების ნაწილში და მათი მოცულობები შესაბამისად გაზრდილია 700.0 ათასი ლარით, 245.3 ათასი ლარით და 110.0 ათასი ლარით. ჯამში, „სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მოცულობა, ბიუჯეტის პროექტის

² „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით, 2020 წლისათვის ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 5%-ს შეადგენს (IMF პროგნოზი – 4.8%).

პირველად ვარიანტთან შედარებით, წარმოდგენილ კანონპროექტში გაზრდილია 1,055.3 ათასი ლარით. კერძოდ:

„სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლების“ საპროგნოზო მაჩვენებელი 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი ვარიანტით 700.0 ათასი ლარის მოცულობით იყო განსაზღვრული. ამ ნაწილში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა და ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტში კომპონენტის საპროგნოზო მოცულობა განსაზღვრულია 1,400.0 ათასი ლარის ნიშნულზე. ლიცენზირებად პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდისა და მიმდინარე წლის 11 თვის საკასო შესრულების მონაცემის³ გათვალისწინებით, საპროგნოზო მოცულობა რეალისტური და შესრულებადია.

ცხრილი 4. სხვა შემოსავლები კომპონენტების მიხედვით (ათასი ლარი)

სხვა შემოსავლები	2019 წლის გეგმა	2019 წლის 11 თვე ფაქტი	2019 წლის 11 თვის შესრულება (%)	2020 წლის გეგმა	2019-2020 წწ. ზრდა/კლება	2019-2020 წწ. ზრდა/კლება (%)
შემოსავლები საკუთრებიდან	9,396.4	9,375.8	99.8%	10,650.0	1,253.6	13.3%
პროცენტები	5,525.0	6,077.1	110.0%	7,000.0	1,475.0	26.7%
დივიდენდები	2,500.0	1,273.2	50.9%	1,500.0	-1,000.0	-40.0%
რენტა	1,371.4	2,025.5	147.7%	2,150.0	778.6	56.8%
მოსაკრებელი ნადირობის ნებართვაზე	-	0.1		-	0.0	
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	671.4	717.9	106.9%	750.0	78.6	11.7%
სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლები	700.0	1,307.6	186.8%	1,400.0	700.0	100.0%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	419.6	528.6	126.0%	500.0	80.4	19.2%
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	-	13.4		-		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	419.6	515.2	122.8%	500.0	80.4	19.2%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	100.0	133.8	133.8%	100.0	0.0	0.0%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	80.0	2,774.3	3467.9%	-		
სულ სხვა შემოსავლები	9,996.0	12,812.5	128.2%	11,250.0	1,254.0	12.5%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2020 წლის ბიუჯეტის კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ გეგმური მაჩვენებელი, რომლის საკასო შესრულებამ 2018 წელს 630.4 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წლის 11 თვეში – 2,774.3 ათასი

³ 1,307.6 ათასი ლარი.


ლარი. ისევე როგორც კანონპროექტის პირველად ვარიანტში, არც გადამუშავებულ ვარიანტში არ არის წარმოდგენილი „შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების“ ნულოვან ნიშნულზე განსაზღვრის საფუძვლები, რაც დამატებით განმარტებებს საჭიროებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, გაკეთდეს გასულ წლებში შემოსულობების შესაბამის კომპონენტებში ფაქტობრივად მიღებული თანხების სათანადო ანალიზი და სისტემურობისა და რეგიონის ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზე დაყრდნობით, განისაზღვროს დასაგეგმი წლის საბიუჯეტო პარამეტრები.

დივიდენდები

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მისაღები დივიდენდების გეგმური მაჩვენებელი 1,500.0 ათასი ლარის დონეზეა განსაზღვრული, რაც 2019 წლის გეგმურ მაჩვენებელზე 1,000.0 ათასი ლარით ნაკლებია.

დიაგრამა 1. 2014-2020 წლების დივიდენდების დინამიკა(ათასი ლარი)



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2014-2019 წლებში საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, კანონპროექტის მიხედვით, 2020 წლის გეგმური მაჩვენებელი, გასული წლის გეგმასთან მიმართებით 1,000.0 ათასი ლარით მცირდება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 31 საწარმოდან, 2019 წლის 11 თვეში დივიდენდი გადახდილი აქვს მხოლოდ 2 საწარმოს⁴, საიდანაც შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის“ მიერ გადახდილი დივიდენდის საერთო წილი

⁴ არ ხორციელდება სათანადო მონიტორინგი არამომგებიანი საწარმოების საქმიანობაზე, რაც მაკონტროლებელი ფუნქციის არაეფექტიანი გამოყენების შედეგია.

98.9%-ს (1,258.6 ათასი ლარი) შეადგენს. აღსანიშნავია, რომ შპს „სავაჭრო ცენტრ 2009“-ს 2017 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში დივიდენდის სახით გადახდილი აქვს 2,609.0 ათასი ლარი, 2018 წელს – 1,481.2 ათასი ლარი, ხოლო მიმდინარე წელს დივიდენდის მოცულობა 1,250.0 ათასი ლარის ფარგლებში იქნება⁵. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში საწარმოს საქმიანობის სფერო და მოგება-ზარალის დინამიკა არსებითად არ შეცვლილა, ბიუჯეტში მიმართული დივიდენდების მოცულობა განსხვავებულია, რადგან არ ხდებოდა მოგების სრული განაწილება. ამ პირობებში, 2020 წლის ბიუჯეტში მისაღები დივიდენდების მხოლოდ 1,500.0 ათასი ლარის მოცულობით განსაზღვრა საჭიროებს საფუძვლიან დასაბუთებას, რაზეც აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა დასკვნაში, თუმცა რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მაკონტროლებელმა სამინისტროებმა, საზედამხებელო ფუნქციის ეფექტიანი გამოყენებით, უნდა უზრუნველყონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივად მოქმედ საწარმოებში უკეთესი მენეჯმენტის განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს არამომგებიან საწარმოებზე, დაისახოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. მათ შორის, შემოსავლების ახალი წყაროების მოძიების და ხარჯების შემცირების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, მიზანშეწონილია, მაკონტროლებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილ იქნეს ხედვა, არამომგებიანი საწარმოების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, შერწყმის ან პრივატიზაციის მიმართულებით.

3.2 არაფინანსური აქტივების კლება

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლით მისაღები შემოსულობის გეგმური მაჩვენებელი 20,844.3 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 1,994.3 ათასი ლარით მეტია 2019 წლის გეგმურ მაჩვენებელზე. უძრავ ქონებაზე ფასების მზარდი ტენდენციისა და საპრივატიზებო ქონების რესურსის⁶ გათვალისწინებით, ამ კომპონენტში მისაღები შემოსულობის განსაზღვრული საპროგნოზო მოცულობა ბიუჯეტის პესიმისტურ დაგეგმვაზე მიუთითებს და მეტ დასაბუთებას საჭიროებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ

⁵ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით.

⁶ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სია 2020 წელს დაგეგმილი საპრივატიზებო ობიექტების შესახებ.

იქნეს პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი განხორციელება, მათ შორის, არსებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებით და ახალი რესურსების მოძიების გზით.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის მიხედვით, გადასახდელების მოცულობა 350,094.3 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა და 2.3%-ით იზრდება მიმდინარე წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით. ზრდა დაგეგმილია „არაფინანსური აქტივების ზრდისა“ (9,442.5 ათასი ლარით, 10.4%-ით) და „ვალდებულებების კლების“ (322.7 ათასი ლარით, 15.1%-ით) კომპონენტების ხარჯზე, ხოლო მცირდება ხარჯების (1,874.3 ათასი ლარით, 0.8%-ით) კომპონენტი.

წარმოდგენილი კანონპროექტით, ბიუჯეტის პირველად ვარიანტთან შედარებით, ჯამში 7,055.3 ათასი ლარით იზრდება გადასახდელები, რაც შესაძლებელი გახდა ბიუჯეტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით თავისუფალი ნაშთის 6,000.0 ათასი ლარით შემცირებითა და „სხვა შემოსავლების“ საპროგნოზო მოცულობის 1,055.3 ათასი ლარით გაზრდით. 2019 წელს შემოსულობების გეგმის მოსალოდნელი გადაჭარბებით შესრულების და 2019 წლის ბოლოს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების სავარაუდო მოცულობის გათვალისწინებით, 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების მხოლოდ 2.3%-იანი ზრდა, ბიუჯეტის პესიმისტურ დაგეგმვაზე მიუთითებს, რაზეც ბიუჯეტის პირველად ვარიანტზე წარდგენილ დასკვნაშიც აღინიშნა.

ცხრილი 5. გადასახდელები ცალკეული კომპონენტის მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის 11 თვე ფაქტი	2019 წლის 11 თვის შესრულება (%)	2020 წლის გეგმა	2019-2020 წწ. ზრდა/კლება	2019-2020 წწ. ზრდა/კლება (%)
ხარჯები	249,623.9	190,036.0	76.1%	247,749.6	-1,874.3	-0.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	90,440.4	64,134.2	70.9%	99,882.9	9,442.5	10.4%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-		-		
ვალდებულებების კლება	2,139.1	816.4	38.2%	2,461.8	322.7	15.1%
სულ გადასახდელები	342,203.4	254,986.5	74.5%	350,094.3	7,890.9	2.3%

ხარჯები


ბიუჯეტის კანონპროექტის მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2020 წლის ხარჯების გეგმა 247,749.6 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც 1,874.3 ათასი ლარით ნაკლებია 2019 წლის გეგმურ მაჩვენებელზე.

ცხრილი 6. ხარჯები ცალკეული კომპონენტის მიხედვით (ათასი ლარი)

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2019-2020 წწ. ზრდა/კლება	2019-2020 წწ. ზრდა/კლება (%)
შრომის ანაზღაურება	36,042.9	37,056.4	39,269.7	2,213.3	6.0%
საქონელი და მომსახურება	38,454.0	37,139.7	44,758.7	7,619.0	20.5%
პროცენტი	327.2	1,912.3	1,144.7	-767.6	-40.1%
სუბსიდიები	4,558.5	4,762.4	7,575.8	2,813.4	59.1%
გრანტები (გაცემული)	80,243.0	66,060.2	66,757.3	697.1	1.1%
სოციალური უზრუნველყოფა	10,957.8	14,438.3	15,001.4	563.1	3.9%
სხვა ხარჯები	10,183.0	88,254.6	73,242.1	-15,012.5	-17.0%
სულ ხარჯები:	180,766.4	249,623.9	247,749.6	-1,874.3	-0.8%

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტით, 2019 წელთან მიმართებით 2,213.3 ათასი ლარით იზრდება „შრომის ანაზღაურების“ მუხლის დაფინანსების მოცულობა. ზრდა განპირობებულია საარჩევნო სისტემის დახვეწის, გაუმჯობესებისა და 2020 წლის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის „შრომის ანაზღაურების“ მუხლის დაფინანსების 2,436.2 ათასი ლარით გაზრდის გამო.

დიაგრამა 2. ხარჯების მუხლის სტრუქტურა (პროცენტი)



ბიუჯეტის კანონპროექტით დაფინანსება ეზრდება ან იმავე ნიშნულზე უნარჩუნდება ზოგიერთ ისეთ პროგრამას/ქვეპროგრამას, რომელთა შესრულების მაჩვენებელი 2019 წლის 9 თვის მდგომარეობით კვარტალურ გეგმასთან მიმართებაში 50%-ზე დაბალია. მაგალითად, „ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისათვის საჭირო ქონების გამოსყიდვის სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემის“ ქვეპროგრამაში (2019 წლის გეგმა – 462.0 ათასი ლარი, 2019 წლის 9 თვის გეგმა – 143.4 ათასი ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტი – 39.4 ათასი ლარი, 2020 წლის გეგმა – 3,092.9 ათასი ლარი) 2019 წლის 9 თვის მონაცემებით აუთვისებული დარჩა 104.0 ათასი ლარი. მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ ქვეპროგრამის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში, კურორტ გოდერძიზე, მიწის მეპატრონეების ნაწილმა უარი განაცხადა ქონების გამოსყიდვის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებაზე, ხოლო ნაწილის შემთხვევაში პრობლემას ქმნიდა წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების სიზუსტე (ზედდება მეზობელ მიწის ნაკვეთებთან მიმართებით). ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ მხარჯავმა დაწესებულებამ ისე განსაზღვრა პროგრამის მოცულობა, რომ სათანადოდ არ ჰქონდა შესწავლილი და შეფასებული მოსალოდნელი შეზღუდვები და განსაზღვრული საბიუჯეტო რესურსის საჭიროება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, მხარჯავი დაწესებულებების მიერ გამოკვლეულ იქნეს აუთვისებლობის მიზეზები და გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები მომდევნო საბიუჯეტო წელს ანალოგიური პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

ცხრილი 7. ქვეპროგრამების შესრულება (ათასი ლარი)

კოდი	პროგრამების დასახელება	2019 წლის გეგმა	2019 წლის 9 თვის გეგმა	2019 წლის 9 თვის საკასო ხარჯი	2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება (%)	2020 წლის გეგმა
04 01 05	მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა	130.0	110.0	39.0	35.5%	130.0
05 18 03 01	კონფერენციები და ფორუმები	148.3	1.7	-	0.0%	144.6
05 18 05	ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა	184.2	79.7	39.0	48.9%	182.3
07 06 13	სასათბურე მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	395.9	96.1	15.0	15.6%	375.0
09 12	ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისათვის საჭირო ქონების გამოსყიდვის სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემა	462.0	143.4	39.4	27.5%	3,092.9

5. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია


2019 წლის გეგმურ მაჩვენებლებთან მიმართებით, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით მცირდება საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაფინანსება 7.7%-ით და დასვენება, კულტურა და რელიგიის სფეროების დაფინანსება – 5.5%-ით, ხოლო იზრდება ეკონომიური საქმიანობის სფეროს დაფინანსება – 4.0%-ით, გარემოს დაცვის სფეროს დაფინანსება - 6.2%-ით, საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროს დაფინანსება – 326.7%-ით, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება – 1.9%-ით, განათლების სფეროს დაფინანსება – 19.2%-ით და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება – 0.9%-ით.

ცხრილი 8. ფუნქციონალური კლასიფიკაცია (ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2019-2020 წწ.	2019-2020 წწ. ზრდა/კლება (%)
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	158,354.1	146,162.2	(12,191.9)	-7.7%
704	ეკონომიკური საქმიანობა	97,530.4	101,434.8	3,904.4	4.0%
705	გარემოს დაცვა	1,228.7	1,305.3	76.6	6.2%
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	3,750.0	16,000.0	12,250.0	326.7%
707	ჯანმრთელობის დაცვა	15,436.0	15,724.3	288.3	1.9%
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	32,610.3	30,810.6	(1,799.7)	-5.5%
709	განათლება	25,928.5	30,919.6	4,991.1	19.2%
710	სოციალური დაცვა	5,226.2	5,275.7	49.5	0.9%
სულ:		340,064.3	347,632.5	7,568.2	2.2%

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა გამოწვეულია „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამის დაფინანსების 326.7%-იანი ზრდით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ. „მუყაოს ქალაქის“ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით.

დიაგრამა 3. ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (პროცენტი)



ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის სტრუქტურის ანალიზი პრიორიტეტების მიხედვით ცხადყოფს, რომ 2020 წლისთვის შენარჩუნებულია ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად გასაწევი ხარჯების პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, 2020 წლის ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლების შესაბამისად, ხარჯების უდიდესი წილი 4 ძირითადი პრიორიტეტის დასაფინანსებლად არის მიმართული: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 42.0%, ეკონომიკური საქმიანობა – 29.2%, დასვენება, კულტურა და რელიგია – 8.9%, განათლება – 8.9%. დანარჩენი 4 პრიორიტეტის დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ჯამური ოდენობა დაფინანსების 11.0%-ს შეადგენს და ცალკეული პრიორიტეტისათვის 0.4%-იდან 4.6%-მდე მერყეობს.

6. ასიგნებები

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტის შესაბამისად, 2019 წლის საბიუჯეტო პარამეტრებთან შედარებით, ასიგნებები ეზრდებათ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო კომისიას – 2,442.0 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს – 14,255.5 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს – 3,198.8 ათასი ლარით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს – 337.8 ათასი ლარით. ამავე დროს ასიგნებები უმცირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 154.0 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას – 8.2 ათასი ლარით და აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს – 8.0 ათასი ლარით. მცირდება ასევე საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები 12,173.0 ათასი ლარით.

ცხრილი 9. ასიგნებები (ათასი ლარი)

ორგ. კოდი	დასახელება	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	2019-2020 წწ. ზრდა/კლება	2019-2020 წწ. ზრდა/კლება (%)
01 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	5,370.8	5,216.8	-154.0	-2.9%
02 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	669.0	3,111.0	2,442.0	365.0%
03 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მთავრობასთან არსებული ორგანიზაციები	3,258.4	3,250.2	-8.2	-0.3%
04 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	98,506.9	112,762.3	14,255.5	14.5%
05 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	53,191.2	56,390.1	3,198.8	6.0%
06 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	20,662.2	21,000.0	337.8	1.6%
07 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	15,186.2	15,178.2	-8.0	-0.1%
09 00	საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	145,358.7	133,185.7	-12,173.0	-8.4%
სულ:		342,203.4	350,094.3	7,890.9	2.3%

2019 წლის ბიუჯეტის გეგმასთან მიმართებით მნიშვნელოვნად იზრდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის დაფინანსება. დაფინანსების ზრდა გამოწვეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაფინანსების ზრდა განპირობებულია „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამის დაფინანსების 12,250.0 ათასი ლარით გაზრდის გამო. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის.

2019 წლის ბიუჯეტის გეგმასთან მიმართებით 12,173.0 ათასი ლარით მცირდება საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების დაფინანსება. მათ შორის, შპს „სტადიონის“ დაფინანსება მცირდება 20,276.5 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებით, ხოლო იზრდება ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისათვის საჭირო ქონების გამოსყიდვის სანაცვლოდ კომპენსაციების გაცემის ხარჯები (2,630.9 ათასი ლარით), სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დაფინანსება (2,391.3 ათასი ლარით), ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდი (1,858.0 ათასი ლარით) და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება (1,121.7 ათასი ლარით).

7. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხი

2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტით, 2020 წელს სესხის მომსახურებისა და უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნებისთვის განსაზღვრულია 3,606.5 ათასი ლარის დაფინანსება.

უცხოეთიდან მიღებული სესხების აუთვისებლობა/დაგვიანებით ათვისება იწვევს სესხის მომსახურების ხარჯების ზრდას, რადგან კონტრაქტების ნაწილი ითვალისწინებს მსესხებლისათვის ვალდებულების გადასახადის (commitment fee) დაკისრებას სესხის აუთვისებელ ნაწილზე. მაგალითად, „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ საკრედიტო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2010 წელს, თუმცა პროექტის განხორციელება 2019 წლამდე არ დაწყებულა. აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული სესხის აუთვისებელ ნაწილზე (2.7 მლნ ევრო) ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, აუთვისებელი თანხის 0.5%-ის ოდენობით. სესხის აუთვისებლობის შედეგად, პროექტის განუხორციელებლობის პირობებში, 2010-2019 წლებში ბიუჯეტიდან გადახდილია 217.1 ათასი ევრო,⁷ რაც საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ მნიშვნელოვანი საბიუჯეტო რესურსის უსარგებლო ხარჯვაზე მიუთითებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა თურქული კომპანია „გოქსინ ინშაათი“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება⁸ და სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, კონტრაქტორ კომპანიას 2019 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით გადაერიცხა 1,724.3 ათასი ევრო, მათ შორის 698.7 ათასი ევრო ავანსის სახით. ამავე პერიოდისათვის შესრულებულია სხვადასხვა სახის სამუშაო, მათ შორის: დასრულებულია ადგილზე დროებითი მისასვლელი გზის მშენებლობა, ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხის გადაყვანის სამუშაოები, ნაგავსაყრელი პოლიგონის ღობის მშენებლობა და სხვ.

⁷ აღნიშნული თანხა მოიცავს სესხის ადმინისტრირების გადასახადს – 30.0 ათას ევროს, პროცენტის ხარჯს – 3.6 ათას ევროს, ვალდებულების გადასახადს – 141.6 ათას ევროს და სესხის ძირითადი თანხის დაფარვას – 41.9 ათას ევროს.

⁸ ხელშეკრულება, 11/04/2019.

ცხრილი 10. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხი (ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა	ზრდა- კლება 2019-2020 წწ.	ზრდა-კლება 2019-2020 წწ. (%)
09 06 01	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები	1,811.3	987.3	-824.0	-45.5%
09 06 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები	101.0	157.4	56.5	55.9%
09 08 01	კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KfW) მიღებული სესხის დაბრუნება	1,339.8	1,471.8	132.0	9.9%
09 08 02	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის დაბრუნება	799.3	990.0	190.7	23.9%
ჯამი:		4,051.4	3,606.5	-444.9	-11.0%

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია არსებული ფულადი და მატერიალური რესურსების სრული გამოყენებით უზრუნველყოფილ იქნეს რეგიონისათვის მნიშვნელოვანი პროექტის შეუფერხებლად განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა, რაც ხელს შეუწყობს როგორც აჭარაში ნაგავსაყრელთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებას, ისე საბიუჯეტო სახსრების ეფექტიან ხარჯვას.

8. რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და მათი შეფასების ინდიკატორების შესახებ. პროგრამული ბიუჯეტის მომზადება 2013 წლიდან დაიწყო, თუმცა ჯერ კიდევ არ მტკიცდება ბიუჯეტის კანონით და მხოლოდ დანართის სახე აქვს. მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა რიგი პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაცია, იგი კვლავ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით მომზადების პროცესში გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- პროგრამებში/ქვეპროგრამებში ღონისძიებები არ არის წარმოდგენილი დეტალურად და მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის სახე აქვს;

- შეფასების ინდიკატორების ნაწილი ვერ უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების გაზომვასა და პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას ან მათი ნაწილი შეფასებისთვის საჭიროებს დამატებით ინდიკატორს.

ბიუჯეტის პირველად ვარიანტზე წარდგენილ დასკვნაში მაგალითის სახით აღინიშნა „სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლების“ ქვეპროგრამა (კოდი: 07 12 04 01), სადაც ქვეპროგრამის შუალედური შედეგი არის სატყეო სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარება, ხოლო შედეგის ინდიკატორი – 8 ორგანიზებული ღონისძიება. წარმოდგენილი შუალედური შედეგი და შედეგის ინდიკატორი არ იძლევა მიღწეული შედეგების გაზომვის და პროგრამის ეფექტიანობის შეფასების შესაძლებლობას, თუმცა ხარვეზი ბიუჯეტის გადამუშავებულ ვარიანტშიც არ გამოსწორებულა.

პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მთავარ რეკომენდაციად რჩება: პროგრამული ბიუჯეტი გახდეს კანონის ნაწილი, ხოლო პროგრამები/ქვეპროგრამები იმგვარად იქნეს წარმოდგენილი, რომ ის მოიცავდეს პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში განსახორციელებელ დეტალურ ღონისძიებებს, ხოლო ინდიკატორებით შესაძლებელი იყოს მიღწეული შედეგების გაზომვა და პროგრამის ეფექტიანობის შეფასება.